# ქართული ენის ოლიმპიადა

## II ტური

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელში

ტესტის მაქსიმალური ქულაა: **50**

გისურვებთ წარმატებას

- კითხვა არჩევითი პასუხებით

| |
|---|
| ინსტრუქცია<br>ყურადღებით გაეცანით მოცემულ შეკითხვას, ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი სწორი. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელში. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1 |

**1. რა ტიპის არის წინადადება:**

**კარგად თუ დააკვირდებით, აუცილებლად დაინახავთ სად მდებარეობს ფიტარეთის მონასტერი.**

ა) მარტივი.

ბ) შერწყმული.

გ) რთული თანწყობილი.

დ) რთული ქვეწყობილი.

**2. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“ არჩილი მიმართავს კესოს:**

– სჩანს ჩვენთვის წიგნი სხვა ყოფილა და საქმე სხვა. არ გიყვარდა იმავ მიზეზით, რა მიზეზითაც არ შეირთავდი: გლეხკაცი იყო. სად არის აქ „თაყვანისცემა ღირსებისა“, რომელიც ჩვენ ასე მოგვწონდა? წიგნშია და არა საქმეში, ენაზეა და არა გულში. აბა გიორგის ამბავი წიგნში ამოგვეკითხნა, რა პტყელ-პტყელ ლაპარაკს მოვყვებოდით მე და შენ და ჯვართ ვაცვამდით, ვისაც კაცის საწყაოდ გვარიშვილობა მოუხმარია.
„ღირსების თაყვანისცემას“ ვიღა სჩივის, შენ ვერც კი მიუხვდი სიყვარულს, კაცი თურმე თავს გევლებოდა. აი, რა დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა! ჩვენის სისხლ-ხორცის ქვითკირია, ქვითკირი... ჩვენ რომ გვკითხონ, ვითომ დიდი ხანია გადაგვიქცევია ეს მაგარი კედელი. მაგრამ რით? მარტო წიგნისაგან გაალმასებული ენითა...

- **რა საზოგადოებრივი პრობლემის შესახებ მსჯელობს არჩილი?**

**ა. ხიდჩატეხილობის.**
**ბ. სიდუხჭირობის.**
**გ. მექრთამეობის.**
**დ. გაუნათლებლობის.**

**3. ყურადღებით წაიკითხეთ ტიციან ტაბიძის ლექსი „სერგეი ესენინს“:**

გაუხედნავი კვიცი იყავი
**და სისხლიანი, როგორც ჩაღატარ.**
დარჩები ლექსში გაურიყავი,
ცოდვაა, ამ ლექსს საფლავში გატან.

- **ტროპული მეტყველების რომელ სახეს იყენებს ავტორი პირველი სტროფის მეორე სტრიქონში?**

ა) შედარებას.
ბ) გაპიროვნებას.
გ) ჰიპერბოლას.
დ) ეპითეტს.

4. გურამ დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი“ ალექსანდრო უამბობს დომენიკოს:

სანამ ბალახისფერი კაცი კარაველებთან მივიდოდა, ორი დღით ადრე ყველაზე კარგი მოქალაქე გააძევეს. აღარ იკითხავ, რატომ აითვალწუნეს? კარაველებმა ერთხელ დიდ თავშეყრაზე – ნადირობის დასაწყისში აღნიშნეს, რომ იმათი ქალაქი ყველასა სჯობს... იმ კაცმა კი თქვა, რომ ალუბლის ქალაქი უფრო კარგია. ჩვენ შორის დარჩეს, დომენიკო, და ეს მართლაც ასე იყო და მით უფრო აეწვათ კუჭი, მის საწინააღმდეგოდ ამხედრდნენ, ცილი დასწამეს, რომ მას არ უყვარდა თავისი ქალაქი და ამიტომაც არ იყო მათთან ყოფნის ღირსი, და გაძევება მიუსაჯეს. დიდმა კარაველმა თოფი შეათამაშა და თქვა: „თუ შენ ახლავე არ დატოვებ ჩვენს საყვარელ ქალაქს, მაშინ მე გესვრი...“ კაცი შეაცქერდა, რამდენჯერმე ნელა, საყვედურით დაიქნია თავი და წავიდა. ეს, რა თქმა უნდა, საბაბი იყო, მიზეზი კი სულ სხვა რამ გახლდათ: კარაველებს არ მოსწონდათ პატიოსანი კაცი. ბევრს კი არაფერს აშავებდა – ვინმე რამე ცუდ საქმეს რომ ჩაიდენდა, პაააატარა, მცირე საყვედურით შეაცქერდებოდა ხოლმე. ეს იყო და ეს...

- რატომ გააძევეს კარაველებმა პატიოსანი კაცი ქალაქიდან?

ა) იმიტომ, რომ კარაველებს არ მოსწონდათ პატიოსანი კაცი.
ბ) იმიტომ, რომ მას ალუბლის ქალაქში ცხოვრება სურდა.
გ) იმიტომ, რომ მას არ უყვარდა თავისი ქალაქი.
დ) იმიტომ, რომ პატიოსანმა კაცმა კარაველებს ბრძოლა გამოუცხადა.

5.სად გვხვდება მოცემული სტროფი:

წაიღე, თუ გწამ უფალი,
ნუღარ მაჩვენებ თვალითა.
კაის ყმის მარჯვენა არი,
გული მეწვება ბრალითა.
რაად სწყრებიან ხევსურნი,
რადა ტყვრებიან ჯავრითა?!
მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი
მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!

ა. ვაჟა-ფშაველას პოემაში ,,სტუმარ მასპინძელი“.

ბ. ვაჟა-ფშაველას პოემაში ,,ალუდა ქეთელაური“.

გ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში ,,ოთარაანთ ქვრივი“.

დ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში ,,ხმა იდუმალი“.

- **დაასრულეთ მოთხრობა**

| **ინსტრუქცია** |
| --- |
| ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ნაწყვეტი და დაასრულეთ . ნაწერი არ უნდა აღემატებოდეს 1000 სიტყვას. დავალების მაქსიმალური ქულაა 25. (გაითვალისწინეთ, რომ ამ დავალების **არ** შესრულების შემთხვევაში თქვენი ნაშრომი არ გასწორდება) |

სკოლიდან მოვდიოდი, მოულოდნელად ვიღაცამ ჩემი სახელი ახსენა, შევბრუნდი და ...

- **არგუმენტირებული ესე**

**ინსტრუქცია**

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული პირობა და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება არგუმენტირებულად.
დავალების მაქსიმალური ქულაა: 20 (გაითვალისწინეთ ამ დავალების არ შესრულების შემთხვევაში თქვენი ნაშრომი არ გასწორდება)

**საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, გამოცდების რაოდენობა სკოლებში უნდა შემცირდეს.**

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას, ან უარყავით იგი.

გისურვებთ წარმატებას